

Tamar Sharabidze

თამარ შარაბიძე

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

Georgia, Tbilisi

საქართველო, თბილისი

**One of the Branches of the Caucasus Censorship Committee
is Dramaturgical Censorship***

**კავკასიის საცენზურო კომიტეტის ერთ-ერთი მიმართულება –
დრამატურგიული ცენზურა**

After the annexation of the Caucasus by Russia at the beginning of the 19th century, it is natural that a colonial policy was implemented in all areas in all the nations under the rule of the Russian Empire (in particular, the Caucasus County), one of the main pillars of which was the *Caucasus Censorship Committee* created in 1848. The Committee represented the punitive body of Tsarism, worked aside of Police and Gendarmerie and actively cooperated with them. From December 20, 1879, Dramaturgical Censorship was added to the activities of the *Caucasus Censorship Committee* by the Decree of the Viceroy of the Caucasus.

Keywords: 19th century, Georgian dramaturgy, Caucasian Censorship Committee

საკვანძო სიტყვები: XIX საუკუნე, ქართული დრამატურგია, კავკასიის საცენზურო კომიტეტი

„კავკასიის საცენზურო კომიტეტი“, რომელიც 1848 წელს შეიქმნა, წარმოადგენდა იმპერიალისტური სახელმწიფოს შენარჩუნების ერთ-ერთ მექანიზმს, კერძოდ, მაკონტროლირებელ ორგანოს საზოგადოებრივი აზრისა, რომელიც, რასაკვირველია, თავს იჩენდა პრესასა თუ ლიტერატურაში. კავკასიის საცენზურო კომიტეტს უნდა მიეცა ნებართვის ბილეთი ნებისმიერი სახის ბეჭდვითი „პროდუქციისათვის“ (იქნებოდა ეს წიგნი, ჟურნალი, ნოტების რვეული, ნახატი თუ გეოგრაფიული რუკა), რომელიც იმპერიაში შემოდიოდა კავკასიის საზღვრებიდან. კომიტეტი ვალდებული იყო ყველა ენაზე შემოსული მასალა წაეკითხა, რადგან იმპერიისთვის მიუღებელი აზრი მათში არ გაპარულიყო. ის ასევე გასცემდა ნებართვას კავკასიის ფარგლებში დასაბეჭდ ნებისმიერ მასალაზე (მხატვრულ ტექსტზე იქნებოდა, პუბლიცისტიკა თუ უბრალოდ განცხადება). თავდაპირველად კავკასიის საცენზურო კომიტეტი თავის მოვალეობას ასრულებდა მხოლოდ ორი შტატით. ჰყავდათ ევროპული და აღმოსავლური ენების ცენზორები. ბეჭდვითი საქმის განვითარებასთან ერთად შტატების რაოდენობაც გაიზარდა. კომიტეტი უპირველესად თანამშრომლობდა საბაჟოებთან, რომლებიც პირდაპირ საცენზურო კომიტეტში აგზავნიდნენ ბეჭდვითი სახის „პროდუქციას“.

* კვლევა განხორციელდა „შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის“ მხარდაჭერით (FR-21-8335).

ციას“ და ნებართვის შემდგომ უზღავნიდნენ პატრონებს; ასევე თანამშრომლობდა პოლიციასა და ჟანდარმერიასთან, რომლებიც ამოწმებდნენ, ხომ არ გამოიპარა წიგნების მაღაზიებში აკრძალული მასალა და ნამდვილად განადგურდა თუ არა ის. კომიტეტს ჰყავდა თავისი ზემდგომი ორგანოები – კავკასიის სასწავლო ოლქი (1848 წლიდან 1863 წლამდე); შინაგან საქმეთა სამინისტრო (1863 წლიდან 1867 წლამდე), 1867 წლიდან კი მეფისნაცვლის მთავარი სამმართველო.

1850 წელს გიორგი ერისთავის მიერ ქართული თეატრის დაარსებამ განაპირობა როგორც ქართული, ასევე სომხური და აზერბაიჯანული დრამატურგიის განვითარება. თითოეული პიესისათვის დადგმის ნებართვას კავკასიის საცენზურო კომიტეტი გასცემდა. იკრძალებოდა მოსკოვსა და პეტერბურგში უკვე დადგმული პიესების კავკასიაში დადგმა ცენზურის ხელახალი გავლის გარეშე. კანონი კრძალავდა როგორც ოჯახურ სპექტაკლებს, ასევე პიესის ცალკეული მონაკვეთების დადგმას და მხატვრულ კითხვასაც ნებისმიერი თაშყერის ადგილას, თუკი არ იქნებოდა ტექსტები წარდგენილი საცენზურო კომიტეტში და არ იქნებოდა მათზე გაცემული ნებართვა.

ქართული პროფესიული თეატრის საქმიანობა ხელახლა 1879 წელს განახლდა ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის თაოსნობით, შეიქმნა ე.წ. მუდმივმოქმედი ქართული დასი. თეატრის რეპერტუარში ქართულ პიესებთან ერთად დამკვიდრდა უცხოური კლასიკური დრამატურგიაც; გაჩაღდა თარგმანისა და გადმოკეთების („თითქმის საყოველთაო“) პროცესიც; აქედან გამომდინარე, საგრძნობლად გაიზარდა კავკასიის საცენზურო კომიტეტში ნებართვის ბილეთის მისაღებად წარდგენილ პიესათა რიცხვიც. თეატრის აღმოვლობამ მოითხოვა დრამატურგიული ცენზურის ცალკე მიმართულებად გამოყოფა, რაც განხორციელდა 1879 წლის 20 დეკემბერს.

დრამატურგიული ცენზურის ცალკე მიმართულებად გამოყოფის შემდგომ კანონი თეატრებში პიესათა დადგმის წესების შესახებ არ შეცვლილა. ძირითადად ხელმძღვანელობენ 1865 წლის საცენზურო კანონით (480-1-31), რომელიც, როგორც ავტორებს, ისე მთარგმნელებს, ავალბდა პიესათა წარმოდგენას საცენზურო კომიტეტში ორ ეგზემპლიარად თანხმობის ბილეთის მისაღებად; ცალკე მითითებას იღებენ ცენზორები. მათ ევალბოდათ, ამოეცნოთ ტექსტში გატარებული აზრის სიმბოლურ-ალეგორიული მნიშვნელობა და თავიდანვე აეკრძალათ ისეთი პიესა, რომელშიც თავისუფალი აზრის გამოვლენას ხედავდნენ, თუნდაც ეს პიესა უკვე დადგმული ყოფილიყო სატახტო ქალაქების – მოსკოვისა და პეტერბურგის – თეატრებში, რადგან განსხვავებული მიდგომა ესაჭიროებოდა ცენტრსა და პროვინციებს. ეს აზრი მეორდება სხვადასხვა დროს მიღებულ ცირკულიარებში. გუბერნატორებს ევალბოდათ, შეემოწმებინათ სიები იმ დრამატურგიული ნაწარმოებებისა, რომლებიც „უყოყმანოდ“ ნებადართული იყო დასადგმელად და რომლებიც აკრძალული იყო, როგორც დასადგმელად „მოუხერხებელი“. საგანგებოდ უნდა შეემოწმებინათ დამატებითი სიები „მოუხერხებლად“ მიჩნეული ნაწარმოებებისა (ასეთი სიები დგებოდა ყოველთვიურად და ემატებოდა უკვე დადგენილ სიებს. ყველა სიას ამტკიცებდა კავკასიის მეფისნაცვალი, რომელსაც კავკასიის საცენზურო კომიტეტი აწვდიდა დადებით ან უარყოფით რეცენზიას – „თანხმობას“ ან „აკრძალვას“).

თეატრის მფლობელებს მოეთხოვებოდათ შემდეგი: 1) დაედგინათ, თუ რამდენად ზუსტ შესაბამისობაში იყო დადგმული პიესის ტექსტი ცენზურის მიერ დამტკიცებულ ტექსტთან; 2) ჩამონათვალში არშეტანილი ყველა დრამატურგიული ნაწარმოები, რომელთაც დადგმისათვის არ ჰქონდათ ცენზორის ნებართვა, დროულად წარმოედგინათ ბეჭდვითი საქმის მთავარ სამართველოში ხელნაწერის სახით, სუფთად და გასაგებად გადაწერილი ან გადაბეჭდილი, აუცილებლად 2 ეგზემპლიარად; 3) არ დაეშვათ იმ პიესების დადგმა, რომლებიც ერთ დროს დაიშვებოდა ცენზურის მიერ, დაიბეჭდა კიდევ სხვადასხვა დროსა და სხვადასხვა გამომცემლობის მიერ, მაგრამ არ ჰქონდათ შესაბამისი კანონით (ცირკულიარი 176) სცენაზე დადგმის ხელახალი ნებართვა. 4) პეტერბურგისა და მოსკოვის საიმპერატორო სცენაზე დადგმული პიესები არ გამოდგებოდა იმის დასამტკიცებლად, რომ მათი დადგმა ნებადართული იყო კერძო თეატრებისთვის; 5) არც საიმპერატორო თეატრის აფიშები მოწმობდა იმას, რომ პიესა ნებადართული იყო იმპერიის მთელ ტერიტორიაზე, რადგანაც მათგან ზოგიერთი ნებადართული იყო მხოლოდ დ მხოლოდ საიმპერატორო თეატრებში

დასადგმელად, სხვა თეატრებს მათი დადგმა შეეძლოთ მხოლოდ ცენზორის ხელახალი ნებართვით (ტექსტიდან ზოგიერთი ადგილის ამოღებითა და გადაკეთებით); 6) ყველა აფიშა და განცხადება სპექტაკლის დადგმის შესახებ დაბეჭდვისთანავე დაუყოვნებლივ უნდა გადაგზავნილიყო ბეჭდვითი საქმის მთავარ სამმართველოში დანომრილი სახით, რათა შემდგომ არ მომხდარიყო მათი შეცვლა.

1872 წლის მასალებიდან (480-1-31) ჩანს, რომ ბეჭდვითი საქმის მთავარმა სამმართველომ დრამატურგიული ცენზურის წესების დახვეწის მიზნით მიმართა კავკასიის საცენზურო კომიტეტს და მოსთხოვა შემდეგი: ყველა აქამდე გამოცემული სიების ნაცვლად დაებეჭდა დრამატურგიული ნაწარმოებების ახალი და სრულყოფილი აღფავიტური სია, რომელშიც დახარისხებული იქნებოდა პიესები შემდეგი კრიტერიუმებით: ა) ცენზურის მიერ დასადგმელად უყოყმანოდ ნებადართული ბ) ნებადართული გამონაკლისებით (გადასაკეთებელი ადგილებით) და გ) დასადგმელად მოუხერხებლად მიჩნეული. სიებში წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო 1872 წლის 1 ივლისამდე დრამატურგიული ცენზურის მიერ განხილული ყველა პიესა. ჩამოთვლილ სიათაგან პირველი ორი გამიზნული იყო როგორც თეატრის მფლობელების, ასევე პოლიციის უფროსებისთვის სახელმძღვანელოდ – საავტორო და სამოყვარულო სპექტაკლების სცენური დადგმებისა და მათთვის აფიშების დაბეჭდვისათვის ნებართვის გასაცემად. მესამე სია, აკრძალული პიესების, განკუთვნილი იყო გუბერნიის მმართველებისთვის საინფორმაციოდ. 1872 წლის 1 ივლისის შემდგომ ცენზურის მიერ განხილული დრამატურგიული ნაწარმოებები, როგორც უყოყმანოდ დასადგმელი, ასევე გამონაკლისებიც, შეტანილი იქნებოდა 1 სექტემბრის „ბეჭდვითი საქმის მისათითებელში“; აკრძალული პიესების სიები არ შევიდოდა „ბეჭდვითი საქმის მისათითებელში“, მაგრამ დაიბეჭდებოდა დროდადრო და ძველებურად გადაეგზავნებოდა ინფორმაციისათვის გუბერნატორებს. მთავარი სამართველო იმედოვნებდა, რომ ამის შემდგომ აღარ მოხდებოდა გადახვევა კანონის მიერ დადგენილი წესებიდან, პოლიცია ზუსტად იხელმძღვანელებდა ამ სიებით და ისე გასცემდა ნებართვებს პიესების სცენაზე დასადგმელად თუ აფიშის დასაბეჭდად; დარღვევა სამართლებრივად დაუსჯელი არ დარჩებოდა. კანონი უნდა შესრულებულიყო ყველგან ერთნაირად.

ადგილობრივი პოლიციის მოვალეობა და პასუხისმგებლობა თეატრალურ წარმოდგენებთან მიმართებაში ასე განისაზღვრა: ა) ზემოთმოყვანილი უზენაესი დადგენილების (V თავი, გვ. 8-9) საფუძველზე, პოლიცია ვალდებული იყო დაუბრკოლებლად გაეცა ნებართვა მხოლოდ იმ პიესების დასადგმელად, რომლებიც შეტანილი იყო „უყოყმანოდ ნებადართულ პიესათა სიებში“ ან „ბეჭდვითი საქმის მისათითებელში“. ამასთანავე თეატრის მფლობელები და ის პირები, რომლებიც ხელმძღვანელობდნენ სამოყვარულო სპექტაკლებს, პასუხისმგებელნი იყვნენ, რომ წარმოდგენილ პიესაში არ დაირღვეულიყო ცენზურის მიერ დამტკიცებული ტექსტი. ბ) დასადგმელად ნებადართული პიესები, რომლებიც შეტანილი იყო სიაში „ნებადართული გამონაკლისებით“ ან ასეთივე დანიშნულების ცნობარებში, რომლებიც დაბეჭდილი იყო „მისათითებელში“, უნდა გადასცემოდა პოლიციას, თეატრის მფლობელებსა და იმ პირებს, რომლებიც ხელმძღვანელობენ სამოყვარულო სპექტაკლებს; ნებართვის გამცემი პოლიციის ჩინი უნდა დარწმუნებულიყო, რომ დადგმის დროს ზუსტად შესრულდებოდა ამ პიესებში ცენზურის მიერ შეტანილი ცვლილებები. თეატრის მფლობელები და ის პირები, რომლებიც ხელმძღვანელობენ სამოყვარულო სპექტაკლებს, პასუხისმგებელნი იყვნენ სცენაზე წარმოდგენილი და ცენზორის მიერ დადგენილი ტექსტები იდენტური ყოფილიყო. გ) იმ შემთხვევაში, თუ პოლიციაში წარმოდგენილი იქნებოდა თხოვნა, ავთენტური ეგზემპლიარის წარმოდგენის გარეშე, ცენზორის მიერ „გამონაკლისებით ნებადართული“ პიესის დადგმის შესახებ, პოლიცია ვალდებული იყო, მიეთითებინა მთხოვნელსათვის, დაეცვა წესრიგი და გუბერნიის უფროსების მეშვეობით გადაეგზავნა პიესა მთავარ სამმართველოში საცენზუროდ. ეს წესი უნდა შესრულებულიყო იმ შემთხვევაშიც, როდესაც დასადგმელად წარმოდგენილი პიესა არ იყო შეტანილი არც „უყოყმანოდ ნებადართულ“ და არც „გამონაკლისებით ნებადართულ“ პიესათა ცნობარში („ბეჭდვითი საქმის მისათითებელში“). დ) პიესებიდან ცალკეული სცენების დად-

გმის, სიმღერისა და ლექსის კუპლეტების წაკითხვის ნებართვა უპრობლემოდ უნდა მიენიჭებათ იმ შემთხვევაში, თუ პოლიცია ნამდვილად დარწმუნდებოდა, რომ ეს სცენები, ლექსები და კუპლეტები შედიოდა იმ პიესათა რიცხვში, რომლებიც „უყოყმანოდ“ იყო ნებადართული და, აქედან გამომდინარე, შესული როგორც სიებში, ასევე «მისათითებლის» ცნობარში. რა თქმა უნდა, აფიშებზეც უნდა ყოფილიყო განმარტებული, თუ რომელი ნებადართული პიესიდან იყო წარმოდგენილი სცენები, ლექსები და კუპლეტები; ამასთანავე პიესის სათაური არ უნდა ყოფილიყო თვითნებურად შეცვლილი. თუ აღნიშნული სცენები, კუპლეტები და ლექსები არ იყო შესული არცერთი ტიპის სიებში, პოლიცია ვალდებული იყო მოეთხოვა ამ ნაწარმოებთა ცენზორის მიერ დამოწმებული „ნებართვიანი“ ეგზემპლარი. „გამონაკლისებით ნებადართული“ პიესებიდან ცალკეული სცენების დადგმაზე ნებართვის გაცემა აკრძალული იყო. ე) პოლიციის მოვალეობებში შედიოდა თვალყურის მიდევნება იმაზეც, რომ „უყოყმანოდ დასადგმელი“ პიესების სათაურს მიღმა არ ყოფილიყო წარმოდგენილი ტექსტი „გამონაკლისებით ნებადართული,“ ან ცენზურის მიერ აკრძალული ან „დასადგმელად მოუხერხებელი“ (იგივე აკრძალული) პიესებიდან. აფიშების დაბეჭდვის ნებართვის დროსაც პოლიცია უნდა დარწმუნებულიყო, რომ მათზე მითითებული მოქმედი პირები და პიესის ტექსტის პირები ერთი და იგივენი ყოფილიყვნენ. ასევე ვალდებული იყო, შეემოწმებინა, რომ დასაბეჭდ აფიშებზე პიესების, ცალკეული მოქმედებებისა და სურათების სათაურები არ ყოფილიყო თვითნებურად მოგონილი, არ ყოფილიყო არანაირი გადახვევა ცენზურის მიერ დამოწმებული ტექსტიდან. ვ) ამისგან დამოუკიდებლად, პოლიცია ვალდებული იყო, თვალყური ედევნებინა, რომ სცენაზე დადგმული სპექტაკლი შესრულებულიყო დადგენილი ტექსტიდან გადახვევის გარეშე; ტექსტიდან გადახვევის, ან ჯერ არგანხილული, ან დადგმისათვის მოუხერხებელ პიესათა სცენაზე წარმოდგენის შემთხვევებში, კანონიერად დაესაჯა დამნაშავეები. ზ) იმ თეატრალური სპექტაკლების ან მსგავსი გასართობების დაბეჭდილი აფიშები, რომლებშიც შედიოდა სასიმღერო კუპლეტები ან წასაკითხი ლექსები, დაბეჭდვისთანავე პოლიციას დაუყოვნებლივ უნდა წარედგინა ბეჭდვითი საქმის მთავარ სამართველოში (სტამბების მიერ წარდგენილი აფიშებისგან დამოუკიდებლად; სტამბებსაც ევალეობდათ ბეჭდვითი საქმის მთავარ სამართველოში დაბეჭდილი აფიშების წარდგენა). აფიშების წარდგენის დროის გაწელების შემთხვევაში, აგრეთვე მაშინაც, თუ პოლიცია აღმოაჩენდა, რომ ზოგიერთი დაბეჭდილი აფიშა არ არის განყოფილებაში წარდგენილი, უნდა აღძრულიყო დამნაშავეთა დასჯის საქმე (480-1-31).

როგორც ვხედავთ, ბეჭდვითი საქმის მთავარ სამართველოსა და კავკასიის საცენზურო კომიტეტთან ერთად დრამატურგიული ცენზურის საქმიანობაში ჩართულები იყვნენ: შინაგან საქმეთა სამინისტრო, ოლქის გუბერნატორები და პოლიცია. შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით ბეჭდვითი საქმის მთავარი სამართველო გუბერნატორებს აცნობებდა შემდეგს: 1) განსაკუთრებული ყურადღება მიექციათ მათ დაქვემდებარებაში მყოფი პოლიციის დაწესებულების მიერ მთავარი სამართველოს ზემოთმოყვანილ განმარტებათა შესრულებისათვის; დარღვევათა აღმოჩენის შემთხვევაში კი არ დაეტოვებინათ ამ საქმეში დამნაშავეები „დაუყოვნებელი“ და „მკაცრი“ დასჯის გარეშე. 2) დრამატურგიული ნაწარმოებების მთავარ სამართველოში საცენზუროდ გადაგზავნის მოთხოვნა არ დაეკმაყოფილებინათ მანამდე, სანამ თავად არ შეამოწმებდნენ, შედის თუ არა დადგმის ნებართვისათვის წარდგენილი დრამატურგიული ნაწარმოები აკრძალულ პიესათა რიცხვში. ასეთ შემთხვევაში დაებრუნებინათ ისინი დანიშნულებისამებრ, მთავარ სამართველოში წარმოდგენის გარეშე; ასევე ყურადღება უნდა მიექციათ იმისთვისაც, რომ სამართველოში გაგზავნილი ხელნაწერი პიესები ყოფილიყო გარკვევით და სუფთად გადაწერილი, ან დაბეჭდილი, აუცილებლად ორ ეგზემპლარად. 3) უნდა დაევალებინათ სტამბებისათვის, რომ აფიშები დაბეჭდათ ნუმერაციით (თითოეულ აფიშაზე მითითებული უნდა ყოფილიყო მისი თანმიმდევრული ნომერი); 4) უნდა უზრუნველყოთ, რომ პოლიციის ხელმძღვანელებს დაბეჭდვისთანავე დაუყოვნებლივ წარედგინათ აფიშები მთავარ სამართველოში თანხლები საბუთების გარეშე, მხოლოდ წარწერით

კონვენტებზე: „ამა და ამ პოლიციისტერისგან ან პოლიციის ოფიცისაგან, აფიშა №...“, ამასთანავე კონვენტზე მითითებული უნდა ყოფილიყო ის ნომერი, რომელიც აფიშაზე დაიბეჭდა.

როგორც დავინახეთ, ტოტალიტარული სახელმწიფო თავის ინსტიტუტებს – შინაგან საქმეთა სამინისტროს, ბეჭდვითი საქმის მთავარ სამმართველოს, კავკასიის საცენზირო კომიტეტს, გუბერნატორებს, პოლიციას, ასევე კერძო დაწესებულებების ხელმძღვანელებს, თეატრისა და სტამბის მფლობელებს – ერთმანეთის კონტროლს ავალებს, რათა ყველამ პირნათლად შესრულოს დაკისრებული მოვალეობები, აღარ მოხდეს კანონიდან გადახვევები და დარღვევები, რომელთა შემთხვევაშიც დამნაშავენი მკაცრად უნდა დაისაჯონ. და ეს ყოველივე – პოლიციური ღონისძიებანი – წინასწარ იგეგმება, კანონის სახეს იღებს და ტარდება თეატრალურ დადგმებთან მიმართებაში.

დრამატურგიულ ცენზურას ეხება 1874 წელს მიღებული ცირკულიარი საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილას ჩატარებული ღონისძიებების შესახებაც, რომელიც, ერთი შეხედვით, ლოიალურია. საზოგადოების თავშეყრის ადგილებში დაშვებულია დრამატურგიული წარმოდგენები, ლიტერატურული და მუსიკალური საღამოები, ლექციების კითხვა (480-1-262). თუმცა ცირკულიარში აღნიშნულია, რომ ამგვარი თავყრილობების დროსაც ყველაფერი 1865 წლის საცენზურო კანონის მიხედვით უნდა შესრულდეს: ნებართვის ბილეთის გარეშე სცენაზე რაიმეს დადგმა არ შეიძლება; კანონი დრამატურგიული ნაწარმოებების შესახებ არ უშვებს არანაირ გამონაკლისს კლუბებისათვის, რადგანაც დედაქალაქებისა თუ პროვინციების საზოგადოებრივ თავყრილობებზე გაცილებით მეტი მაცურებელი იყრის თავს, ვიდრე თეატრში. ამიტომ პიესათა დადგმა ასეთ ადგილებში დრამატურგიული ცენზურის ნებართვის გარეშე დაუშვებელია.

აღსანიშნავია, რომ თავად შინაგან საქმეთა სამინისტროში არსებული ცნობებიდან გამომდინარე, აღნიშნული კანონი ყოველთვის ზედმიწევნით არ ხორციელდებოდა და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებზე მაინც იდგმებოდა ისეთი პიესები, რომლებიც არ იყო განხილული ბეჭდვითი საქმის მთავარი სამმართველოსა და მასზე დაქვემდებარებული დრამატურგიული ცენზურის (საცენზურო კომიტეტის) მიერ. როგორც დედაქალაქებში, ასევე პროვინციაში შეინიშნებოდა ტენდენცია, აფიშები არ დაბეჭდილიყო, რათა მთავარი სამმართველოს ბეჭდვითი საქმის განყოფილებასა და პოლიციას არ მისცემოდა თვალყურის დევნების საშუალება, რაც დრამატურგიული ცენზურის კანონის თანახმად ყოვლად დაუშვებელი იყო. სამინისტროში თავმოყრილი ცნობებიდან ნათელია, რომ კლუბების სცენაზე არაერთხელ წაუკითხავთ ისეთი ლექსები და დაუდგამთ ის პიესები, რომლებიც დაიშვებოდა დრამატურგიული ცენზურით, მაგრამ შეუსრულებიათ ისეთი ცინიკური მეთოდებით, რომელთა მოთმენა და დაშვება საზოგადოებრივ სცენაზე ყოვლად დაუშვებელი იყო. შინაგან საქმეთა სამინისტრო აფრთხილებს გუბერნატორებს, რომ საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილას დადგმული სპექტაკლი არ განსხვავდება თეატრში დადგმულისაგან, ამიტომ მათი დადგმის წესები არ უნდა გამომდინარეობდეს თავყრილობათა შესახებ მიღებული კანონებიდან. აუცილებელია კლუბებსა და საზოგადოებრივ ადგილებში სპექტაკლის დადგმა ითვალისწინებდეს სამ პირობას: 1. კლუბებმა და თავშეყრის ადგილებმა თითოეული სპექტაკლის დასადგმელად უნდა გამოითხოვონ ნებართვა ადგილობრივი პოლიციისგან; 2. კლუბებისა და მსგავს დაწესებულებათა სცენებზე არაფრით არ შეიძლება იმ პიესათა დადგმა, რომლებიც ნებადართული არ არის დრამატურგიული ცენზურის მიერ; არ შეიძლება გადახვევა ცენზურის მიერ დადგენილი ორიგინალის ტექსტიდან; 3. ბეჭდვითი საქმის მთავარი სამმართველოს ან სასწავლო ოლქის რწმუნებულის ხელახალი ნებართვის გარეშე აკრძალულია სცენაზე უკვე გამოცემული ან ადრე ნებადართული მოთხრობების, ლექსების, კუპლეტებისა და ა.შ. მხატვრული კითხვა. 4. ყოველ სპექტაკლზე პოლიციისთვის გამოყოფილი უნდა იყოს სავარძელი, რათა მას შეეძლოს სცენის თვალყურისდევნება. 5. ბეჭდვითი საქმის მთავარ სამმართველოს დროულად უნდა გაეგზავნოს იმ პიესათა აფიშები, რომლებიც კლუბების სცენაზე უნდა დაიდგას.

როგორც ვხედავთ, ათწლეულის განმავლობაში საცენზურო კანონს არანაირი ცვლილება არ განუცდია. 1876 წელს (480-1-268) კიდევ ერთი კანონი შემოიღეს: აიკრძალა სხვადასხვა სახის სცე-

ნური დადგმები და მხატვრული კითხვა „მალარასიულ დიალექტზე“, ასევე მუსიკალური ნაწარმოებისათვის განკუთვნილი ტექსტების ამ „დიალექტზე“ დაბეჭდვა.

იზადება კითხვა, თუკი კანონები უცვლელი რჩება, რამ განაპირობა კავკასიის საცენზორო კომიტეტში დრამატურგიული ცენზურის ცალკე მიმართულებად გამოყოფა? როგორც კომიტეტის მასალებიდან ჩანს, სცენა უპირველესი საშუალება ხდება ავტორის სიტყვის ხალხის ფართო მასგბთან მიტანისა, ამიტომაც ცენზურა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს თეატრს. 1879 წლიდან კავკასიის საცენზორო კომიტეტის ფონდში ინახება ცენზორის მიერ ჩასწორებული პიესებიც, რომლებზედაც მითითებულია, „ნებადართულია“ თუ „აკრძალული“. მანამდე ასეთი სახის მასალა (პიესათა ხელნაწერი ტექსტები) ფონდში არ გვხვდება, სავარაუდოდ მათ ავტორებს უბრუნებდნენ. დრამატურგიული ცენზურის დაარსების წლიდან კავკასიის საცენზორო კომიტეტში შემოსული პიესების ხელნაწერები, ცენზორის მიერ ჩასწორებული, კავკასიის საცენზორო კომიტეტის ფონდშია დაცული (თითოეული რამდენიმე ვარიანტად)

კავკასიის საცენზორო კომიტეტში დაცულ პიესათა ხელნაწერებზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ცენზურა ტექსტიდან შლის იმპერიისათვის საშიშ ფრაზებს ხალხთა თავისუფლებაზე, რევოლუციურ იდეებზე, ეროვნულ დამოუკიდებლობაზე, ბატონის მიერ გლეხთა სასტიკი მოპყრობის ფაქტებზე და ა. შ. მისთვის მისაღებია ვაჭართა ფენისა და სასამართლოს ბიუროკრატიული აპარატის კრიტიკა, ხალხთა მოძველებული ტრადიციებისა და საზოგადოებრივ მანკიერებათა სატირა; ამიტომაცაა, რომ მე-19 საუკუნის დრამატურგიულ თხზულებათა უმრავლესობა მაჭანკლობის ინსტიტუტსა და ქალის გათხოვების სამარცხვინო ტრადიციებს ასახავს, წარმოადგენს ვაჭართა, გაღარიბებულ და გადაგვარებულ თავად-აზნაურთა და სახელმწიფო მოხელეთა კრიტიკას; ეროვნული იდეები კი გადატანილია ისტორიულ დრამებში, წარსულის სახით წარმოჩნდება, რომ ცენზორთა კრიტიკას ასცდეს; თუმცა არის შემთხვევები, როდესაც თეატრალური წარმოდგენა მაყურებლისათვის მიუღებელია და იწვევს პროტესტს იმ პირთა (მთავრობის) მიმართ, რომლებმაც ნებართვა გასცეს მის დასადგმელად. ასეთი მღელვარება მოხდა ქუთაისში, როდესაც 1901 წელს თეატრის სცენაზე ომარსკის დასმა წარმოადგინა ვ. კრილოვასა და ს. ლიტვინას ანტისემიტური პიესა „ისრაილის შვილი“, ანუ „კონტრაბანდისტები“. იმდენად შოვინისტური იყო პიესაც და სპექტაკლიც, რომ პოლიცემისტერს უთხოვია ქუთაისის გუბერნატორისთვის, რომ არ მიეცათ წარმოდგენის გამართვის ნება, მაგრამ გუბერნატორი არ დათანხმებულა (ნიკოლეიშვილი, 1992, გვ. 10). ჩანს, ქუთაისის გუბერნატორს იმპერიული მმართველობისგან დაევალა ქუთაისში მცხოვრებ ქართველ და ებრაელ ხალხს შორის შუღლის გაღვივება, მაგრამ პროგრესულად მოაზროვნე მაყურებელი არ წამოეგო პროვოკაციას და შეეცადა სპექტაკლის ჩაშლას. ხოლო, როდესაც დასმა თამაში მაინც არ შეწყვიტა (ჩანს, ასე ჰქონდა დავალებული), მაყურებელმა დატოვა დარბაზი. კავკასიის საცენზორო კომიტეტში დაცულია აკრძალული სტატიები, რომლებიც ამ არეულობას – 130 კაცის დაჭრას, ჯარის გამოყვანასა და საზოგადოებისა და ჯარის შეტაკებას – ასახავს („ცნობის ფურცლის“ აკრძალული სტატია სახელწოდებით „პროვინცია“(480-1-1694) და „ივერიის“ აკრძალული სტატია „ქუთათური ფელეტონი. შინ რომ ბავშვებს გიშოოდეს, გარეთ ტაბლას რა უნდაო“ (480-1-1696)). წარმოდგენილი მაგალითი მოწმობს, თუ რას ემსახურებოდა კავკასიის საცენზორო კომიტეტის ერთერთი მიმართულება – თეატრალური ცენზურა და მთლიანად კომიტეტი. ის იყო არა მხოლოდ რუსეთის იმპერიის მმართველობაში მოქცეული ერების (კერძოდ, კავკასიის ოლქის) პოლიტიკური-იდეოლოგიური კონტროლის მექანიზმი, არამედ მათ შორის მუდმივი შუღლის გამჩაღებელი ვითომ კულტურულ-საგანმანათლებლო ორგანო. კავკასიის საცენზორო კომიტეტის (კერძოდ, თეატრალური ცენზურის) მასალების შესწავლამ ნათელი და ზუსტი წარმოდგენა შეგვიქმნა ქართველების ბრძოლის ისტორიაზე არა მარტო სიტყვის გამოხატვის თავისუფლებისათვის, არამედ საზოგადოებრივ აზრზე ზემოქმედებისა და მანიპულირების იმდროინდელი მექანიზმების ძირითად პრინციპებისა და ტენდენციების შესახებ.

გამოყენებული ლიტერატურა:

ნიკოლეიშვილი, ა. (1992.) ნიკო ლორთქიფანიძე, ქუთაისი: „საქართველო“.
საქართველოს ეროვნული არქივის 480-ე ფონდის (კავკასიის საცენზურო კომიტეტი) მასალები.

References:

Aakartvelos erovnuli arkivis 480-e pondis (k'avk'asiis satsenzuro k'omit'et'i) masalebi. [Materials of the 480th Fund (Caucasus Censorship Committee) of the National Archives of Georgia].
Nik'oleishvili, A. (1992). Nik'o Lortkipanidze. [Niko Lortkipanidze]. Kutaisi: „Sakartvelo“.